



სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის  
2022 წლის საქმიანობის ანგარიში



## სარჩევი

<b>ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება.....</b>	<b>4</b>
ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა.....	4
<b>ზოგადი განათლების მიმართულება.....</b>	<b>4</b>
სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება.....	4
ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა .....	6
სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა.....	6
პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა .....	7
ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა .....	7
მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა .....	8
მშობლის მიერ მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანის უზრუნველყოფა.....	8
მასწავლებლებისათვის ონლაინ ჯგუფებში ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურება.....	8
მოსწავლეებისათვის შეღავათიანი ინტერნეტპაკეტების შეთავაზება .....	9
საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება .....	9
ელექტრონული ჟურნალი .....	9
ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა .....	10
„მხიარული მათემატიკა“ .....	10
E-სტორიები.....	11
კოდინგის საიტი.....	11
ჭადრაკის აპლიკაცია .....	11
„ჩაერთე“ .....	11
<b>პროფესიული განათლების მიმართულება.....</b>	<b>12</b>
პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.....	12
აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციის სისტემა.....	13



პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემა ...	13
ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა.....	14
პროფესიული განათლების ელექტრონულ ჟურნალი .....	14
<b>უმაღლესი განათლების მიმართულება.....</b>	<b>15</b>
უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება .....	15
სტუდენტთა მობილობა.....	16
ელექტრონული ანკეტა-კითხვარი.....	16
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება და დაფინანსება .....	17
უმაღლესი განათლების დაფინანსების ადმინისტრირება.....	17
<b>სტატისტიკის მიმართულება.....</b>	<b>20</b>
<b>ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მიმართულება.....</b>	<b>22</b>
<b>კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულება.....</b>	<b>23</b>
<b>სხვადასხვა სამუშაო პროცესები.....</b>	<b>25</b>



## ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულება

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ყველა ჩართულ მხარესთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წესის პროექტის შემუშავება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენა. ამასთან, ზემოხსენებული წესის საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებისთანავე შექმნა პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა და 2022 წლის 01 ივლისიდან დაიწყო რეგისტრაციის პროცესი. რეგისტრაციის დაწყებამდე და რეგისტრაციის მიმდინარეობისას, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ ყველა დაინტერესებულ პირთან გამართა საინფორმაციო შეხვედრები და ჩატარა ტრენინგები. ასევე, შეიქმნა პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მოხმარების ინსტრუქციები.

რეგისტრაციის დაწყებიდან - დღემდე, მიმდინარეობს პროცესში ჩართული მხარეების სატელეფონო კონსულტაციები და მათთვის მომხმარებლების შექმნა.

## ზოგადი განათლების მიმართულება

სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის გამოცხადებისთანავე, განხორციელდა გრიფირების ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. პოტენციურ განმცხადებლებთან (ავტორებთან) ჩატარდა სემინარი გრიფირების ელექტრონული სისტემის მოხმარების საკითხებზე. მე-10 კლასის სახელმძღვანელოების



გრიფირების პროცესი ჩატარდა ორ ეტაპად: პირველი სემესტრისა და მეორე სემესტრის სახელმძღვანელოები.

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მოთხოვნის შესახებ პირველ ეტაპზე დარეგისტრირდა - 56 განაცხადი, ხოლო მეორე ეტაპზე - 31 განაცხადი. სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესის უზრუნველყოფისათვის, მასწავლებლებისა და დარგის მეცნიერების შერჩევის მიზნით, გამოცხადდა შესარჩევი კონკურსები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული, დამტკიცებული სიის შესაბამისად, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები შერჩეულ რეცენზენტებთან. რეცენზენტებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი რეცენზირების წესსა და გრიფირების ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათ მიერ განსახორციელებელ ყველა ქმედებასთან დაკავშირებით, შეიქმნა შესაბამისი ინსტრუქციები.

განმცხადებლების (ავტორების) გრიფირების პროცესში მაქსიმალური ჩართვისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, გამოიყო სპეციალური ცხელი ხაზის ნომერი. რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფების შეხვედრები (სახელმძღვანელოების განხილვა) წარმართა ონლაინ რეჟიმში, რისთვისაც რეცენზენტებს Microsoft Teams-ში შეექმნათ მომხმარებლები (User) და ჩაუტარდათ ტრენინგი Microsoft Teams-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიქმნა სატესტო ჯგუფები, ასევე - შესაბამისი ვირტუალური სამუშაო ჯგუფები. უზრუნველყოფილ იქნა რეცენზირების მეორე ეტაპზე გადასული განმცხადებლებისა და სახელმძღვანელოს ავტორების/გამომცემლობების ონლაინ შეხვედრები Microsoft Teams-ის მეშვეობით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სახელმძღვანელოების დახვეწა/გაუმჯობესებაზე. სახელმძღვანელოებისათვის გრიფის მინიჭების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველ ეტაპზე წარედგინა 36 განაცხადი, ხოლო მეორე ეტაპზე - 28 განაცხადი, რომელთაც წარმატებით გადალახეს გრიფირების პროცესის ყველა ეტაპი. მათთვის გრიფის მინიჭების შემდგომ კი, შემოწმდა სახელმძღვანელოების დიზაინი და განმცხადებლებს (ავტორებს) მიეცათ სავალდებულო მითითებები დიზაინის გამოსწორების მიზნით. გრიფირებული სახელმძღვანელოები, განმცხადებლების (ავტორების) მიერ მოწოდებული ფორმატის შესაბამისად, ასარჩევად წარედგინათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო შერჩევის პროცესის დასრულების შემდგომ, შედეგები, მათი ბეჭდვის მიზნებისათვის, გადაეგზავნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აქტიურად იყო ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი აქტების შემუშავებასა და დახვეწაში.



**ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონული ბაზის ფორმირება და საბაზო/სრული ზოგადი განათლების ატესტატების/ატესტატების დუბლიკატების გაცემა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 2021-2022 სასწავლო წლის საბაზო და სრულის ზოგადი განათლების კურსდამთავრებულთათვის საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების - ატესტატების გაცემის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც დამუშავდა და აისახა ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, კერძოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოსილებული 46 832 მოსწავლე და საბაზო ზოგადი განათლების ატესტატის უფლებამოსილებული 44 842 მოსწავლე.

რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების უფლების მქონე პირების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე, მიეწოდა ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული იმ აბიტურიენტების შესახებ, რომელთაც მოპოვებული აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მიღების უფლება.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცა საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატების ბლანკები. ამასთან, მთელი წლის მანძილზე, იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2011 წლამდე და საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების ატესტატის დუბლიკატის მოთხოვნით მიმართეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ჩატარდა შესაბამისი წარმოება ჯამში 2 547 განაცხადთან დაკავშირებით და განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

გაგრძელდა საბაზო და/ან სრული ზოგადი განათლების ატესტატის ელექტრონული ასლის გაცემის პროცესიც, ატესტატის ელექტრონული ასლი არის ორიგინალი დოკუმენტის ასლი, რომელიც ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ელექტრონული დოკუმენტია.

**სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომის დუბლიკატების გაცემა**

საანგარიშო წლის განმავლობაში, იმ დაინტერესებული პირების განაცხადების საფუძველზე, რომელთაც 2009-2010 სასწავლო წლის ჩათვლით დაასრულეს დაწყებითი პროფესიული, ხოლო 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა დაუზიანდათ ან დაეკარგათ შესაბამისი დიპლომი, ჩატარდა შესაბამისი წარმოება და გაცემა - 27 ცალი სახელობო განათლების სერტიფიკატისა და 123 ცალი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატები.



### პირველკლასელთა რეგისტრაციის უზრუნველყოფა

საჯარო სკოლებში პირველკლასელთა რეგისტრაციის მიზნებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეცხადებინათ მისაღები პირველკლასელი მოსწავლეების, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მინიმალური ლიმიტები. პირველკლასელთა რეგისტრაცია წარიმართა 4 ეტაპად. პირველ ეტაპზე დარეგისტრირდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, ჯამში - 623 მოსწავლე, მეორე ეტაპზე - პირები, რომელთა და-მმა სწავლობდა სასურველ სკოლაში ან რომელთა მშობლები იყვნენ კონკრეტული სკოლის თანამშრომლები, ასევე ის პირები, რომელთა ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედიოდა პირველ კლასში, ჯამში - 21450 მოსწავლე, მესამე, საყოველთაო რეგისტრაციაზე დარეგისტრირდა, ჯამში - 23195 მოსწავლე, ხოლო მეოთხე ეტაპზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოთავისუფლებულ ადგილებზე დარეგისტრირდა, ჯამში - 4267 მოსწავლე.

### ექსტერნატის გამოცდების უზრუნველყოფა

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნების - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება - ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ცენტრალიზებული ჩატარება ელექტრონული ფორმით, რისთვისაც საგამოცდო ცენტრებად წინასწარ შეარჩია სკოლები, აღნიშნულ სკოლებში გამართა ინტერნეტის ქსელი, ელექტრონულ (მუდლი) სისტემაში დაარეგისტრირა ექსტერნები და მომხმარებლების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრებს. ასევე, განახორციელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტიდან მოწოდებული ტესტების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა. ტექნიკური მეთვალყურეობა გაუწია გამოცდების პროცესს და ექსტერნატის გამოცდების დასრულების შემდგომ, შედეგები, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა, ჯამში - 970 მოსწავლე.



**მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით  
გათვალისწინებული პროცესების უზრუნველყოფა**

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ საანგარიშო წლის განმავლობაში, უზრუნველყო სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის მინიჭებული სტატუსების ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა, ასევე - მათი პროფესიული საქალაქდების ადმინისტრირება, აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნების, სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების წარდგენისა და უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლების გარე დაკვირვებაზე რეგისტრაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატერება, მასწავლებლებისათვის ჩატარებული საგნის გამოცდის შედეგების ასახვა.

**მშობლის მიერ მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანის უზრუნველყოფა**

ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს მიეცათ შესაძლებლობა მოსწავლეები დაერეგისტრირებინათ დისტანციურ სწავლებაზე. რეგისტრაცია/რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება კვირაში ერთხელ, დარეგისტრირებული მოსწავლეები არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში ერთვებიან ონლაინ ჯგუფებში.

**მასწავლებლებისათვის ონლაინ ჯგუფებში ჩატარებული გაკვეთილების  
ანაზღაურება**

მშობლის სურვილის შემთხვევაში მოსწავლის დისტანციურ სწავლებაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო სკოლის მიერ შექმნილ ონლაინ ჯგუფებში ფაქტობრივად ჩატარებული გაკვეთილების დათვლა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის მიწოდება, მასწავლებლებისათვის შესაბამისი დანამატის გადარიცხვის მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია სკოლების ადმინისტრაციების ინფორმირების მიზნით, მიეწოდებოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრებსაც.





## მოსწავლეებისათვის შეღავათიანი ინტერნეტპაკეტების შეთავაზება

საანგარიშო წელს განახლდა ფუნქციონალი, რომელიც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს, შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს შეღავათიანი ინტერნეტპაკეტით, რაც ხელს უწყობს მათ საჭიროების შემთხვევაში, შეუფერხებლად ჩაერთოს დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში.

## საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ გამოაცხადა საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების პირველ ეტაპზე რეგისტრაცია 2022 წლის 24 ოქტომბრიდან 04 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო გაზრდილი მოთხოვნისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, რეგისტრაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობით, გაგრძელდა 2022 წლის 08 დეკემბრიდან 16 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ჩართული იყო საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების მარეგულირებელ აქტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირებაში. ქვლილებების თანახმად, 2020 წელს გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული პირები აღარ საჭიროებენ ხელახალ რეგისტრაციას და ავტომატურად ერთვებიან მიმდინარე კონკურსში. მასთან, მათ შესაძლებლობა მიეცათ ური თქვან კონკურსში მონაწილეობაზე და დაიბრუნონ რეგისტრაციისათვის გადახდილი საფასური 35 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე, რეგისტრირებულია 3046 პირი, აქედან 2020 წელს დარეგისტრირებული 2049, ხოლო 2022 წელს - 997 პირი. რეგისტრაცია გააუქმა და თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა ჯამში 2020 წელს რეგისტრირებულმა 117 პირმა.

## ელექტრონული ჟურნალი

ელექტრონული ჟურნალის გამართული ფუნქციონირებისა და სკოლის ადმინისტრაციებისა და მასწავლებლების ინტერესების გათვალისწინების მიზნით, გაიმართა ონლაინ შეხვედრები, რის საფუძველზეც ერთობლივად შემუშავდა ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესის პროექტი და იდენტიფიცირებული იქნა განსახორციელებელი ცვლილებები. აღნიშნული პროექტის შესაბამისად შემუშავდა ტექნიკური დავალება და გამოცხადდა ტენდერი. ახალი ფუნქციონალი ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული წესის შესაბამისად სემესტრული, წლიური და საფეხურეობრივი შეფასებების გამოთვლის პრინციპებს, გამოცდების მოდულს, გაცდენების პროცენტული მაჩვენებლის დათვლას, სპეციალური მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ პროცესებს, დამრიგებლის ფუნქციებს. ასევე, შეიცვალა სისტემა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (eSchool-დან) მონაცემების მიგრაციის მოდელი. ელექტრონული ჟურნალი დაინერგა ყველა საჯარო



სკოლაში. ფუნქციონალის მოხმარებასთან დაკავშირებით ჩატარდა ვებინარები, რომლებსაც დაესწრო 3000-მდე მასწავლებელი.

მომდევნო სასწავლო წლისთვის, დაგეგმილია ფუნქციონალის გავნითარება მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროებაზე უკეთ მორგების მიზნით.

საანგარიშო წლის მანძილზე ხორციელდებოდა ასევე:

- საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის, ხოლო მოადგილის თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – სკოლის სხვა თანამშრომლის რეგისტრაცია და შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტების გამოცემა.
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებამოსილებისა და მათი უფლებამოსილების შეწყვეტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ელექტრონულად რეგისტრაციაში გატარება. შესაბამის მოდულში, საჯარო სკოლების მიერ, ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლა, შესწავლის შედეგად მოთხვნის დადასტურება ან დახარვეზება და ხარვეზის გამოსწორების დავალების მიცემა.

### ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამა

#### „მხიარული მათემატიკა“

აღნიშნული საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. აპლიკაციაში მარტივი ანიმაციებითა და ვიზუალური მინიშნებების საშუალებით ბავშვებს შეუძლიათ მათემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეფციების (დათვლა, მეტობა-ნაკლებობა, მიმატება-გამოკლება და ა.შ.) გააზრება და მათი შესწავლა. რესურსი შედგება ორი ნაწილისგან - ვიზუალური განმარტებებისა და სახალისო სავარჯიშოებისაგან.

საანგარიშო წლის მანძილზე დაიგეგმა და შემუშავდა აღნიშნული აპლიკაცია, რომელიც საბოლოო, დასრულებული სახით გაეშვება მომდევნო წლიდან.



---

### E-სტორიები

<https://estories.emis.ge/index.html>

E-სტორიები ჩეთბოტების პლატფორმაა. პროექტი არის დამხმარე ელექტრონული სასწავლო რესურსი სასკოლო საგნისთვის - ჩვენი საქართველო. საანგარიშო წლის მანძილზე ელექტრონულ რესურსს დაემატა საქართველოს კუთხეებთან დაკავშირებული შემდეგი ჩეთბოტები: სამეგრელო, გურია, კახეთი, აღმ. საქართველო, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი.

---

### კოდინგის საიტი

<http://code.emis.ge/>

პროგრამირების შესასწავლი რესურსი მაღალკლასელებისთვის. აღნიშნული რესურსის მეშვეობით, შესაძლებელი იქნება Front-End Development-ის შესწავლა (CSS და HTML). მომხმარებელი შეძლებს საიტზე დარეგისტრირებას და სწავლის პროცესში საკუთარი პროგრესისთვის თვალის დევნებას. რესურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან. საანგარიშო წლის ბოლომდე, დაინტერესებული პირები შეძლებენ კოდის დაწერას და შემოწმებას საიტზე. იქნება სავარჯიშოები და პროექტიკული დავალებები. კურსის გავლის შემდგომ, საიტი ავტომატურად დააგენერირებს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

---

### ჭადრაკის აპლიკაცია

აპლიკაცია შექმნილია სასკოლო საგნისთვის - ჭადრაკი. ამ ეტაპზე აპლიკაციას აქვს თამაშის შენახვის ფუნქციონალი. თამაში შექმნილია იმგვარად, რომ ორმა მოთამაშემ გამოიყენოს აპლიკაცია ერთ კომპიუტერზე. მოსწავლეებს შეუძლიათ შეინახონ პარტია და გაუგზავნონ მასწავლებელს. ჭადრაკის აპლიკაციას აქვს სასწავლო გარემო, რომელშიც შესაძლებელია ნახაზებისა და სქემების შექმნა. აპლიკაცია საბოლოო სახით იარსებებს მომდევნო წლიდან.

---

### „ჩაერთე“

[https://chaerte.mes.gov.ge/active\\_elections/1](https://chaerte.mes.gov.ge/active_elections/1)

საანგარიშო წლის მანძილზე შეიქმნა პროექტი, რომელიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალებას აძლევს, ჩაერთონ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შეუძლიათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხისთვის ხმის მიცემის გზით დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, როგორც ერთ, ასევე მრავალპასუხიან კითხვებზე.



## პროფესიული განათლების მიმართულება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/წ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებში“ 2022 წლის 14 თებერვლის N27/წ ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილებები, შესაბამისად პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (E-vet.emis.ge) და სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) განხორციელდა საჭირო ღონისძიებები, აღნიშნული ცვლილებები იმპლემენტაციისათვის.

## პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

### E-VET.EMIS.GE

- საანგარიშო წლის მანძილზე, სისტემაში Evet.emis.ge ელექტრონული ანკეტა კითხვარის შევსებისა და მიღების გამოცხადების ფუნქციონალში ინტეგრირებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით ან/და დაწესებულების მიერ განსაზღვრული შერჩევის მეთოდები. თითოეულ პროგრამას განსაზღვრული აქვს შერჩევის შესაბამისი მეთოდი/ები. ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, მიღება გამოაცხადა 75 საგანმანათლებლო დაწესებულებამ, 665 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო გამოცხადებული თავისუფალი ადგილების რაოდენობა შეადგენდა - 17 183 (მათ შორის 1475 ადგილი სსსმ აპლიკანტებისთვის).
- სისტემაში განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში, მისაღები ადგილების გაზრდის უზრუნველსაყოფად.
- 2022 წელს, შესაბამის კვარტლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაანგარიშება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული/მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში გადარიცხული თანხის კორექტირება 2022 წლის განმავლობაში და 2022 წლის მიღების პირველადი დაფინანსების ფარგლებში, პირველი და მე-2 კვარტლების კორექტირების გათვალისწინებით სისტემის მიერ გაანგარიშებული ვაუჩერული დაფინანსების ოდენობამ შეადგინა - 47 541 533.28 ლარი.
- „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 თებერვლის №1.1/13 ბრძანების შესაბამისად, წარიმართა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები დაეზავნათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მიმდინარეობს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, კომპეტენციის ფარგლებში.
- სისტემის მეშვეობით, არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი წარიმართა სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრირებულ 20 მსურველთან.



## აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციის სისტემა

### VET.EMIS.GE

- საანგარიშო წლის მანძილზე, Vet.emis.ge- ზე უზრუნველყოფილ იქნა - აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭირო ღონისძიებები. სისტემაში დაემატა დოკუმენტის ატვირთვის ფუნქციონალი, იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტს აქვს „ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 23-ე მუხლით გათვალისწინებული სტატუსიდან ერთ-ერთი.
- სისტემის მეშვეობით აპლიკანტთა ონლაინ რეგისტრაცია წარიმართა მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადებში. რეგისტრაცია გაიარა, ჯამში - 24 449 აპლიკანტმა, ხოლო დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, დამატებით კიდევ - 2 970 აპლიკანტი დარეგისტრირდა.
- შერჩევის შედეგების გაცნობის შემდეგ, სისტემაში უზრუნველყოფილ იქნა, ერთზე მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტის მიერ, არჩეულ პროგრამებს შორის საბოლოო არჩევანის მონიშვნა.
- შერჩევის ერთ-ერთ მეთოდად განსაზღვრული იყო მოტივაციური გასაუბრება, სარეგისტრაციო სისტემაში არსებული ფუნქციონალის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნა მოტივაციური გასაუბრების კომისიის წევრების განაწილება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, აპლიკანტთა შეფასება ელექტონულად, ასევე, ამ შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად, სისტემის მიერ საბოლოო შედეგების ავტომატური გამოთვლა.
- შეფასების /ტესტირების განრიგისა და შედეგების ფუნქციონალის მეშვეობით წარიმართა აპლიკანტთა შეფასება და შედეგების ფორმირება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული შერჩევის მეთოდისთვის დადგენილი კრიტერიუმებისა და კოეფიციენტების შესაბამისად. შედეგად, 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა - 13 859 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის - 570 პროფესიული სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები, ხოლო - 260 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

## პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემა

### TVET.EMIS.GE

- 2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება (tvvet.emis.ge). სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფილია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების მსურველი სუბიექტების რეგისტრაცია, უფლების მოპოვების/დადასტურების მიზნით განაცხადის წარდგენა, უფლების მინიჭება/დადასტურება, მიღების გამოცხადება, ელექტრონული რეგისტრაცია (vet.emis.ge) და მსმენელის სტატუსის მინიჭების (ჩარიცხვა/სტატუსის შეწყვეტა/კურსდამთავრებულად ასახვა).



- 2022 წლისთვის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მქონე 50 იურიდიული პირია სისტემაში რეგისტრირებული (11 - არასაგანმანათლებლო, 39 - საგანმანათლებლო). დღეის მდგომარეობით, 2022 წლის განმავლობაში დამტკიცებული პროგრამების რაოდენობა შეადგენს - 161 (126 პროფესიული მომზადება/35 პროფესიული გადამზადება).
- დღეის მდგომარეობით, სისტემაში შეიქმნა და მიღება გამოცხადდა 272 ნაკადზე, ხოლო პროფესიულ მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩაირიცხულთა რაოდენობა შეადგენს - 3769 მსმენელს.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებებიდან, გამომდინარე მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის, მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და პროგრამაში განხორციელებული სხვა სახის ცვლილებების სისტემაში უზურველსაყოფად.

### ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემა

#### QMS

- ელექტრონული სისტემის მეშვეობით (E-vet, QMS) არაფორმალური განათლების აღიარების უფლება მიენიჭა ოთხ საგანმანათლებლო დაწესებულებას.
- ელექტრონულად განხორციელდა წარმოება და დამტკიცდა 161-ზე მეტი პროფესიული მომზადებისა/პროფესიული გადამზადების პროგრამა.
- მიმდინარეობს, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში მისაღები ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდისა და პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების შესახებ, წარმოების ელექტრონულად წარმართვისთვის საჭირო სამუშაოები.

### პროფესიული განათლების ელექტრონულ ჟურნალი

#### Onlinevet.emis.ge

- 2022 წლის ნოემბრიდან, პილოტირების რეჟიმში ამოქმედდა პროფესიული განათლების ელექტრონული ჟურნალი (onlinevet.emis.ge). ჟურნალის ადმინისტრირების წესებთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჩაუტარდათ ტრენინგები და გადაეგზავნათ შესაბამისი ინსტრუქციები. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარეობს ჟურნალში განრიგის ფორმირება, ჯგუფების შექმნა და პროფესიული მასწავლებლებისთვის საჭირო ინფორმაციისა და ინსტრუქციის მიცემა.
- დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი მცირე ხარვეზების გასწორების და პროდუქტის სრულყოფის მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კომპანიასთან.



## უმაღლესი განათლების მიმართულება

### უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირება

- საანგარიშო წლის მანძილზე, უზრუნველყოფილ იქნა ავტორიზაცია/აკრედიტაციის გადაწყვეტილებების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა, შესაბამისად, განხორციელდა ინფორმაციის განახლება/დასუფთავება საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული პროფილებისა და მათ მიერ განხორციელებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში. კერძოდ, სისტემაში ასახული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს - 165 გადაწყვეტილება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს - 8 გადაწყვეტილება.
- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი პროცესების ეფექტური ადმინისტრირებისათვის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 19 მაისის N1.1/54 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაციის მონიტორინგის წესის შესაბამისად განხორციელდა 3 გეგმიური მონიტორინგი, გაანალიზდა მონაცემები, შემუშავდა რეკომენდაციები და მომზადდა დასკვნები, რომლებიც გაგზავნილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
- აბიტურიენტთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს მიწოდებული იქნა ინფორმაცია - 54 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 701 პროგრამის სტატუსის შესახებ;
- სისტემატურად ხორციელდება სახელმწიფო მიერ სტუდენტებისათვის განხორციელებული სხვადასხვა პროექტების ხელშეწყობა, (ID) ბარათების, სამგზავრო ბარათებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სტუდენტური დაზღვევის ბენეფიციართა შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
- საქართველოში გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და საქართველოში მიღებული განათლების აღიარების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირთა/ორგანიზაციათა მოთხოვნით, სისტემატურად მიმდინარეობს კორესპონდენციების მომზადება (საანგარიშო წლის მანძილზე გაიცა - 621 დასკვნა) საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიების და დამუშავებისა და დაინტერესებული პირისთვის დასკვნის მომზადების ჭრილში.
- მიმდინარეობს ახალი უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის - eUni-ს შექმნის მხარდაჭერა.



## სტუდენტთა მობილობა

- 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის ფარგლებში, სპეციალური ანკეტა-კითხვარის მეშვეობით, მართვის სისტემამ დაადასტურა 48 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 797 პროგრამა, 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში - 51 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 819 პროგრამა და დამატებით, ოთხი რიგგარეშე მობილობის ფარგლებში 55 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 183 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების უფლება.
- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულისა და 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის პროცესების ადმინისტრირება და პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ხელშეწყობა. კერძოდ: 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის ელექტრონული პორტალის მომსახურებით ისარგებლა 1930 მობილობის მსურველმა სტუდენტმა. ხოლო 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში - 4196 სტუდენტმა.
- რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებით უზრუნველყოფილი იქნა, 18 სტუდენტის ჩარიცხვა, გამარტივებული წესით.
- სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობისა და მობილობის გზით სახელოვნებო-შემოქმედებით პროგრამებზე ჩარიცხვის სამართლებრივი ჩარჩოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით ამავე ტიპის პროგრამებზე ჩარიცხვის სამართლებრივ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. შედეგად, სახელოვნებო-შემოქმედებით პროგრამებზე მობილობით გადასვლის პროცესში, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველები მობილობის უფლებას მოიპოვებენ შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, ერთიანი ეროვნული გამოცდის საკონკურსო ქულის გარეშე. საჭირო ტექნიკური ცვლილებები განხორციელდა მობილობის ელექტრონულ პორტალზე;
- სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთათვის მობილობის ადმინისტრირების პროცესის “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ცვლილებების ინიცირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებაში და სამინისტროსთვის წარდგენა.

## ელექტრონული ანკეტა-კითხვარი

- 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავდა 60 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 782 პროგრამა და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.
- 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების მიზნით, 1 დეკემბერს გაიხსნა ელექტრონული ანკეტა-კითხვარი, რომლითაც დაწესებულებები წარმოადგენენ 2023 წლის





ერთიანი ეროვნული გამოცდებით აბიტურიენტთა მიღებისთვის საჭირო მონაცემებს. 2023 წლის 10 იანვრამდე მართვის სისტემა უზრუნველყოფს ანკეტა-კითხვარის დადასტურებასა და დადასტურებული მონაცემების სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის დახურული ქსელით (VPN) მიწოდებას.

- მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირებისა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წლის თებერვალსა და სექტემბერში, დადასტურებული იქნა 48 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 501 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

### მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადება და დაფინანსება

- მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მისაღები პროგრამების წარმოდგენის მიზნით, შეიქმნა სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარი და 2022 წელს აღნიშნულ პროგრამაზე მიღება ასევე წარიმართა ელექტრონულად, სატესტო რეჟიმში, ანკეტა-კითხვარის რეალურ გარემოში ფუნქციონალური შემოწმებისათვის;
- უზრუნველყოფილი იქნა 2022-2023 სასწავლო წლისათვის 20 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის მომზადების 26 საგანმანათლებლო პროგრამის დადასტურება და დაფინანსების მინიჭების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავდა აღნიშნულ პროგრამებზე 1039 ჩარიცხული პირის მონაცემი.
- 2023 წლისათვის მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების პროცესის სპეციალური ელექტრონული ანკეტა-კითხვარის მეშვეობით წარმართვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინიცირებული იქნა და სამინისტროს წარედგინა შესაბამის სამართლებრივ აქტებში ცვლილებების პაკეტი;

### უმაღლესი განათლების დაფინანსების ადმინისტრირება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის მიზნით, სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში განთავსდა სწავლების მეორე საფეხურზე სტუდენტთა დაფინანსების ისტორია, აეწყო დაფინანსების ავტომატური გაანგარიშების ალგორითმი, დაწესებულებებს მიეცათ გაანგარიშებულ მონაცემებსა და დასაფინანსებელ სტუდენტთა სახელობით სიებზე წვდომისა და კორექტირების მოთხოვნის უფლება. გადასარიცხი თანხების სამინისტროსათვის წარდგენამდე, განხილული და საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნა დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი აპელაციები. შესაბამისად, სამინისტროს მიეწოდა მაქსიმალური სიზუსტით გაანგარიშებული თანხები, კერძოდ: 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2022



წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე 24 753, 852.5 ლარის ოდენობით თანხის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:

- ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა-595,875 ლარი
- ოკუპირებული - განათლების აღიარების მიხედვით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა - 9000 ლარი
- თანამემამულის სტატუსის მქონე დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა - 49,875 ლარი
- სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა - 19,221,652.5 ლარი
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი: დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა - 4,748,325 ლარი
- უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა სემესტრული თანხა - 129,125 ლარი.

2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2022 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით, გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - 24,166,535 ლარის ოდენობით თანხის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:

- ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრები პირების მიხედვით სემესტრული თანხა - 798,000 ლარი;
- ოკუპირებული - განათლების აღიარების მიხედვით სემესტრული თანხა - 3375 ლარი;
- თანამემამულის სტატუსის მქონე - სემესტრული თანხა - 46,125 ლარი;
- სახელმწიფო სასწავლო გრანტი სემესტრული თანხა - 19,689,772.5 ლარი;
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი -სემესტრული თანხა - 3,542,637.5 ლარი;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი - სემესტრული თანხა - 86,625 ლარი.

მაგისტრატურის საფეხურზე 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სახელმწიფო დაფინანსების გადარიცხვის მიზნით, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, დამუშავდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 1,997,375 ლარის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:

- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 1,759,250 ლარი;
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 211,125 ლარი;



- უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 14,625 ლარი;
- ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით - სემესტრული თანხა - 12,375 ლარი.

მაგისტრატურის საფეხურზე 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სახელმწიფო დაფინანსების გადარიცხვის მიზნით, 2022 წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით, დამუშავდა და სამინისტროს ინფორმაცია მიეწოდა 2,022,750 ლარის გადარიცხვის თაობაზე, კერძოდ:

- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 1,912,125 ლარი;
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 103,875 ლარი;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი სემესტრული თანხა - 5625 ლარი;
- ოკუპირებული-აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ცხოვრების მიხედვით - სემესტრული თანხა - 1125 ლარი.

პრიორიტეტული პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, სტუდენტთა სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური ელექტრონულ პროგრამას დაემატა ძებნისა და მონაცემების დამუშავების ფუნქციონალური ველები, დაწესებულებებს მიეცათ საშუალება დასაფინანსებელ სტუდენტთა სახელობითი სიების ფორმირება უზრუნველყონ პროგრამაში ელექტრონულად, სტუდენტის წინმსწრები დაფინანსების ისტორიის გთვალისწინებით. შესაბამისად, სამინისტროს მიეწოდა მაქსიმალური სიზუსტით გაანგარიშებული თანხები, კერძოდ: 2021-2022 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით გაანგარიშდა და სამინისტროს მიეწოდა ინფორმაცია 19208 სტუდენტის სწავლის საფასურის - 19,835,100 ლარის ოდენობით დაფინანსების გადარიცხვის თაობაზე. 2022 წლის ბოლომდე კი, დაანგარიშდება 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში გადასარიცხი თანხის ოდენობა, დაახლოებით 20 000 000 ლარის ფარგლებში.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, სწავლების პირველ და მეორე საფეხურის პროგრამებზე სწავლის დაფინანსებისათვის, 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, გაანგარიშდა და სამინისტროს წარედგინა 2 161 189 ლარის ოდენობის თანხა. ამავე პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსებისათვის 2022 წლის 1/15 ნოემბრის მდგომარეობით, დამუშავდა და სამინისტრო წარედგინა დაფინანსების მინიჭებისათვის საჭირო ინფორმაცია.

განხორციელდა სახელმწიფო გრანტისა და სახელმწიფო დაფინანსების გაანგარიშების მიზნით, სპეციალური ელექტრონული სისტემების განახლება, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ახალი ფუნქციონალური ველების დამატება;




უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მინიჭებულ პირთათვის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების ხელშეწყობის მიზნით დამუშავებული იქნა ინფორმაცია, მათ მიერ გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო (მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში) გრანტის ჭრილში, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სამინისტროსთვის წარსადგენად.


სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2022 წლის საგრანტო კონკურსის შედეგად, კონკურსში მონაწილე პირებისათვის სახელმწიფო გრანტის მინიჭების/გაუმჯობესების მიზნით, დამუშავდა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია ამ პირების მიერ მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის, ასევე იმ საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე, რომელზეც ირიცხებიან კონკურსში მონაწილე პირები.


2022 წლის ივლისის თვემდე, მიმდინარეობდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარება.

## სტატისტიკის მიმართულება

საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- 

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების **ვაუჩერული დაფინანსების** უზრუნველსაყოფად დამუშავდა შესაბამისი მონაცემები და დადგენილი წესის შესაბამისად ინფორმაცია მიეწოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
- 

საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დადგენილი **სტატუსის დანამატის ოდენობების** განსაზღვრის მიზნით, ყოველთვიურად მუშავდებოდა მონაცემები და ინფორმაცია მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.
- 

საჯარო სკოლების **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დაფინანსებისთვის** საჭირო მონაცემები მუშავდებოდა ყოველთვიურად და მიეწოდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად.



- დადგენილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობდა განათლების სფეროში **სახელმწიფო სოციალური პროგრამების ბენეფიციართა მონაცემების** განახლება და შესაბამისი სტრუქტურებისთვის მიწოდება.
- თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღვათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობის მიზნით, ყოველთვიურად მიეწოდება ინფორმაცია, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული საჯარო სკოლებში და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული პირების შესახებ.
- განათლების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობისათვის მოქმედებდა მონაცემთა ანგარიშგებისა და ვიზუალიზაციის სისტემა - QlickSense, რაც უზრუნველყოფდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ, მათ შორის დისტანციური სწავლების და ასევე პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების ანალიტიკურ მონაცემებს. 2021 წელს ამ სისტემის მეშვეობით წარმოჩინდა ასევე უმაღლესი განათლების **საგრანტო დაფინანსების მონაცემები**.
- მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში, შეფასდა **2022-23 სასწავლო წლისთვის ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა**, არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასდა საჯარო სკოლებში საჭირო **სახელმძღვანელების სავარაუდო რაოდენობა** კლასების მიხედვით. ასევე მომზადდა 2023-2024 სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობის **პროგნოზული მაჩვენებლები**.
- საანგარიშო წლის განმავლობაში განათლების სისტემაში ანალიტიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გრძელდებოდა მუშაობა სივრცითი ანალიზის კომპლექსურ ინსტრუმენტებზე და განათლების სისტემის ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) ფორმირებაზე, სკოლების მეფინგის (mapping) ამოცანებზე და თემატური რუკების შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს სივრცითი და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების ინფორმაციულ მხარდაჭერას და მოდელირებას. დამუშავდა მონაცემები და შეიქმნა რუკები, ახალი სკოლების დამატების საჭიროების კვლევის მიზნით (თბილისი, დიდი დილომი. არსებული სკოლებამდე ფეხით სავალი დროის ანალიზი და ახალი სკოლისთვის პოტენციური ტერიტორიების შერჩევა). სისტემა ხელს უწყობს დისტანციური სწავლების მიმდინარეობისა და ხარისხიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ანალიზის პროცესს.
- საანგარიშო წლის მანძილზე, გეგმიურად და მოთხოვნების შესაბამისად მუშავდებოდა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა ყველა დაინტერესებულ პირს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები.
- საანგარიშო წლის მანძილზე, მოთხოვნებისა და საჭიროების შესაბამისად მუშავდებოდა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდა შესაბამისი ინფორმაცია სამინისტროსა და მის სისტემაში შემაჯავალ ერთეულებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს. მიწოდებულ მონაცემებს



შორის იყო, სივრცითი მონაცემებიც GIS მონაცემთა ბაზიდან - ბალების, სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების დაზუსტებული ადგილმდებარეობები (მანძილები სკოლებამდე და სხვა მონაცემები ციფრული რუკების სახით).

- „მსოფლიო ბანკის პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი“ (I2Q) ფარგლებში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების შეფასების მხარდაჭერის მიზნით შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფში საანგარიშო პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა სხვადასხვა სამუშაო პროცესები, სტატისტიკის წარმოების ამოცანების და გამოწვევების იდენტიფიცირება.

## ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მიმართულება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დანერგვა: შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა და დამტკიცებული გეგმა გასაცნობად წარედგინა ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს;
- ამუშავდა მართვის სისტემის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პორტალი: security.emis.ge, აღნიშნული პორტალი ხელმისაწვდომია მართვის სისტემის შიდა ქსელიდან და მასზე განთავსდება მართვის სისტემის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების დოკუმენტები (ძირითადი და დამხმარე პოლიტიკები, ინსტრუქციები და სხვა);
- გაიზარდა მართვის სისტემის SIEM-ის (Security Information and Event Management) მასშტაბები, დაერთდა ახალი წყაროები;
- სამომავლო პოტენციური უსაფრთხოების გადაწყვეტილებების დანერგვის მიზნით, მოხდა მონაცემთა ბაზის ცეცხლოვანი კედლის პროდუქტის და მონაცემთა ბაზის მასკირების პროდუქტის სადემონსტრაციო ინსტალაცია და ტექნიკური გამართვა;
- მართვის სისტემაში დაინერგა პრივილეგირებული წვდომის მენეჯმენტის სისტემა (PAM), რომლითაც შესაძლებელია სენსიტიურ მონაცემებთან მომუშავე პერსონალის და კონტრაქტორების ქმედებების მონიტორინგი და კონტროლი;
- მართვის სისტემის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების სპეციალისტებმა გაიარეს iso 27001-ის წამყვანი დამნერგავის (Lead Implement) სატრენინგო კურსი და ჩააბარეს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა;
- მუდმივად მოქმედებდა მართვის სისტემის შექმნილი, შესყიდული ან/და ადმინისტრირებადი მყოფი სერვისების კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობა, ტარდება შეღწევადობის ტესტები.



- განხორციელდა მართვის სისტემის ქსელის, სერვერების და სერვისების მოწყვლადობის და ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ხორციელდებოდა განათლების სისტემის ელექტრონული ფოსტის მისამართებზე ინფორმაციული უსაფრთხოების ზომების დაცვა და ცალკეულ მისამართებზე შემოსული ფიშინგის მეილებზე შესაბამისი რეაგირება (მომხმარებელთა ინფორმირება და კომპრომიტირებული ანგარიშების აღდგენა).

## კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართლება

საანგარიშო წლის მანძილზე, კვლავ აქტუალური იყო განათლების სისტემისთვის IT მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები. **საქართველოს განათლების სისტემაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და სასწავლო პროცესში მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:**

- **მონაცემთა ცენტრების მხარდაჭერის სამუშაოები**, მათ შორის: ცენტრალიზებული მენეჯმენტისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა, ახალი სასერვერო კარადების, გაგრილების, სახანძრო სისტემების და უწყვეტი კვების წყაროების ინსტალაცია, მხარდაჭერა და განახლება. გამოთვლით და მონაცემთა სანახ სისტემებზე გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად განახლდა და გაიზარდა კრიტიკული სერვერული ინფრასტრუქტურის სიმძლავრეები, სრულად განახლდა არსებული ვირტუალიზაციის გარემოც. შესაბამისად, უზრუნველყოფილია მონაცემთა ცენტრში განთავსებული ინფორმაციისა და სერვისების უწყვეტად მიწოდების და უსაფრთხოების უფრო მაღალი გარანტიები.
- სანახი სისტემების განახლება: განხორციელდა Object Storage ს ინსტალაცია, გამართვა და არსებული პროექტების მიგრაცია.
- საჯარო სკოლების ელექტრონული ჟურნალის ოპტიმიზაციის კუთხით განხორციელდა: onlineschool.emis.ge-ს ე.წ. „გაკონტინერება“ და ავტომატიზაცია. განხორციელდა onlineschool.emis.ge-სა და eschool.emis.ge-ს სერვისებზე გადაყვანა და სინქრონიზაციის პროცესის გაუქმება.
- ავტომატიზირდა და მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების ოპტიმიზაცია, როგორცაა ელექტრონული ჟურნალის სინქრონიზაცია, მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია და სარეზერვო ასლების ახალი მეთოდით შექმნა და მონიტორინგი.
- რადიკალურად გაზრდილ დატვირთვასა და ქსელურ მოთხოვნასთან გასამკლავებლად ჩატარდა რიგი სამუშაოები, კერძოდ: გარკვეულ შემთხვევაში გაორმაგდა საჯარო სკოლების ინტენრეტ კავშირებით: რადიო კავშირის შემთხვევაში - 30 მბ/წ-მდე, ხოლო ოპტიკურ



ბოჭკოვანი კაბორის შემთხვევაში - 100 მბ/წ-მდე. ასევე, 1500-მდე გაიზარდა ოპტიკური კაბორების რაოდენობა.




- სკოლებში გაზრდილი ინტერნეტ სიჩქარის, საგამოცდო პროცესისა და მოსწავლეთა ბუკების მხარდაჭერის ფარგლებში განახლდა 400-მდე როუტერი და დამატებით გაიმართა შესაბამისი სპეციალიზირებული WiFi ქსელები.
- განათლების სისტემის სატელეფონო სერვისების ხარისხის ამაღლების მიზნით, ჩატარდა სატელეფონო ცხელი ხაზის ბილინგისა და ტელეფონიის სისტემების განახლება და ოპტიმიზირდა მხარდაჭერის პროცესი.
- Microsoft 365 სერვისების უწყვეტი მიწოდების ფარგლებში, საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა მხარდაჭერის პროცესი, მათ შორის: Microsoft Teams-ში კლასების სინქრონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა, პირველკლასელთა ბუკების რეგისტრაცია და მენეჯმენტი, Minecraft-ის ტრენინგების ტექნიკური მხარდაჭერა, Microsoft Azure ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა.
- ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით, საანგარიშო წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა - ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება და მხარდაჭერა საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლებში, პორფესიულ დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში; სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპებისა და საჯარო სკოლების IT სპეციალისტების, ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა უწყვეტად, როგორც ფიზიკურად, ასევე დისტანციური სახით.
- საანგარიშო პერიოდში, ხორციელდებოდა პირველკლასელთა ბუკების გააქტიურების ავტომატიზირებული სისტემის იმპლემენტაცია.






## სხვადასხვა სამუშაო პროცესები

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა დებულებითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების რეგულარული შესრულება, მათ შორის ხორციელდებოდა:

-  ციფრული არქივის ადმინისტრირება, კერძოდ - შექმნილია ავტორიზებული, აგრეთვე, ლიკვიდირებული/საქმიანობა შეწყვეტილი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის შესახებ ინფორმაციის დამუშავების და დაინტერესებული პირებისათვის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური ელექტრონული პლატფორმა. საანგარიშო წლის მანძილზე მიმდინარეობდა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ შექმნილი ციფრული არქივის ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალური ველების დამატება. პლატფორმაზე ასახულია ინფორმაცია 567 საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ამასთან, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსების შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და საბოლოო დასკვნების მომზადება ციფრული არქივისათვის შექმნილ პლატფორმაზე განსათავსებლად.
-  იმ პირთა აღრიცხვა, რომლებსაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან/და კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.
-  კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და კვალიფიციული ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის დანერგვის/ადმინისტრირების მხარდაჭერა, კერძოდ:

  - ✓ სისტემატიურად მიმდინარეობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eFlow) ჩართული დაწესებულებების მოთხოვნების საფუძველზე, მათი სტრუქტურული ცვლილებების ასახვა სისტემაში (ახალი თანამშრომლების რეგისტრაცია, გათავისუფლებული თანამშრომლების რეგისტრაციიდან მოხსნა, თანამდებობების ცვლილება, დოკუმენტებზე წვდომის უზრუნველყოფა, შესაბამისი ხედვების უზრუნველყოფა და ა.შ.).
  - ✓ სისტემის ფუნქციონირების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების იდენტიფიცირება და მართვა.
-  საანგარიშო წლის მანძილზე ხორციელდებოდა მართვის სისტემაში მოქმედი ორი (ტექნიკური და სტანდარტული) სატელეფონო ცხელი ხაზის ადმინისტრირება.



შეიქმნა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სატელეფონო ცხელი ხაზის სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ✓ მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, დაინტერესებული პირებისთვის სატელეფონო კონსულტაციების გაწევას;
- ✓ ცხელი ხაზით მიღებული შეტყობინებების საფუძველზე მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებული ინფორმაციის დაზუსტებას და გაცემას;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ერთეულებში, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა (e-Flow) დანერგვასა და შემდგომ ადმინისტრირებას;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი ერთეულების, ასევე, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ ორგანოებისთვის მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალის შესახებ კონსულტაციების გაწევას;
- ✓ სხვადასხვა დაინტერესებული პირებისთვის, მართვის სისტემის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, სატელეფონო კონსულტაციების გაწევას;
- ✓ მართვის სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ სისტემებში დაფიქსირებული ხარვეზების ან ინციდენტების შესახებ, სატელეფონო შეტყობინებებით მიღებული ინფორმაციის ასახვას შესაბამის ელექტრონულ სისტემაში და აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის უკუგებას, დაინტერესებული პირებისთვის.

ფუნქციონირება მართვის სისტემის ტექნიკური ცხელი ხაზი - (2-220200), რომლის კომპეტენციას წარმოადგენს ტექნიკური შინაარსის პრობლემებთან დაკავშირებით, განათლების სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფილის პერსონალისთვის კომპეტენტური სატელეფონო დახმარების გაწევა. საანგარიშო პერიოდში დისტანციური სერვისების აქტუალობის გათვალისწინებით, სატელეფონო ცენტრები კვლავ განსაკუთრებით მაღალი დატვირთვით ასრულებდნენ დაკისრებულ ამოცანებს.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი – საქართველო (Georgia I2Q - Innovation, Inclusion and Quality Project)“ ფარგლებში უცხოელი ექსპერტებით წარმოდგენილი საკონსულტაციო გუნდის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე – სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დიაგნოსტიკური შეფასებისა და მისი როლის განსაზღვრის თაობაზე განათლების სისტემაში.

პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დიაგნოსტიკური კვლევის განხორციელებასთან ერთად შემუშავდა: EMS (საგანმანათლებლო საინფორმაციო მართვის სისტემა) შემუშავებისა და განვითარების, სკოლამდელი და ზოგადი განათლებისთვის; EMIS-ის შესაძლებლობების გაძლიერების დიზაინის შემუშავების და დანერგვის, ზოგადი განათლებისთვის სწავლა-სწავლების მართვის (LMS) სისტემის დიზაინისა და დანერგვის, ტექნიკური დავალები.



- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, პროფესიული და უმაღლესი განათლების სამსახურის წარმომადგენლობით, საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა:
  - ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების დარგობრივი საბჭოს სამუშაო პროცესში, წევრის სტატუსით;
  - ✓ უმაღლეს და/ან საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, 2022 წლის ტესტირებაზე გასვლის გარეშე ჩარიცხვის თაობაზე, რეკომენდაციების მომზადების მიზნით შექმნილი კომისიის სამუშაო პროცესში, წევრის სტატუსით;
  - ✓ არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გადახედვა-გაუმჯობესების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულ პროცესებში, წევრის სტატუსით.
  - ✓ პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“ მესამე კომპონენტის ფარგლებში, უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის ეფექტური ადმინისტრირების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის შექმნისათვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მხარდასაჭერად საზედამხედველო ჯგუფის სამუშაო პროცესში, წევრის სტატუსით.